საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №84/ნ

2025 წლის 17 სექტემბერი

ქ.თბილისი

„საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №42/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 22/03/2022; სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.018150) დამტკიცებული „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესის“:

1. 31-ე მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ცენტრი უფლებამოსილია საგნის გამოცდაზე რეგისტრაციის გამოცხადებისას განსაზღვროს, რომ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში განაწილებულ პრაქტიკოს მასწავლებელს აქვს.“.

2. 31-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებთან დაკავშირებით ცენტრი ეყრდნობა ტესტირებაში მონაწილეობის მიღების მიზნით ცენტრში რეგისტრაციის ვადის დაწყებამდე სსიპ – განათლების მართვის სისტემის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

4. საგნობრივი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 20 დღის ვადაში, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება იმ პრაქტიკოს მასწავლებელთა სია, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა საგნის გამოცდაში, გამოცდაზე მიღებული შედეგის მითითებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი